

# StuccoDecor DI PERLA

დეკორატიული საგოზავი მასა მეტალის შეფერილობით შიდა სამუშაოებისთვის.

## პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები

საგოზავი მასა მეტალის შეფერილობით შიდა კედლებისა და ქერის ინდივიდუალური დეკორატიული გაფორმებისათვის.

თვისებები

სასტუმროების, კაფეების, რესტორნების, საოფისე შენობების, ბინების, სამედიცინო დაწესებულებების მაღალხარისხიანი შიდა დეკორატიული დამუშავებისთვის.

- ეკოლოგიურად უსაფრთხო
- არ შეიცავს გამსხნელებსა და დამარბილებებს
- წყალში ხსნადი
- დიფუზიის უნარით
- მარტივი მოხმარებისათვის
- მაღალი დატვირთვის ამტანი

მასალის შემკვრელი

ორგანული შემკვრელი პოლიმერული ფისის საფუძველზე.

შეფუთვა

2,5 ლ.

ფერი

ვერცხლისფერი - ბაზა, ოქროსფერი - ბაზა.

საგოზავი მასა Capadecor StuccoDecor DI PERLA იფერება მანქანურად ColorExpress -ის სისტემის 73 ტონში (55 - ვერცხლისფერი ბაზისთვის, 18 - ოქროსფერი ბაზისთვის). ხელით კოლერებისას ფერთა ტონებში განსხვავებების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია საგოზავის საჭირო რაოდენობა კარგად აირიოს. ბაზა შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ შეფერადებული სახით.

სიპრიალის ხარისხი

აბრეშუმისებრი-პრიალა

შენახვის პირობები

შეინახეთ გრილ, ყინვისაგან დაცულ ადგილას. მოარიდეთ მზის პირდაპირ სხივებს. შენახვის ვადა ორიგინალურ შეფუთვაში მინიმუმ 2 წელი.

ტექნიკური პარამეტრები

**DIN EN 13 300-ის შესაბამისად**

- სიმკვრივე: დაახლოებით 1.0 გ/სმ<sup>3</sup>.
- სველი ცვეთა: კლასი 2,
- ნაწილაკების ზომა: წვრილი,



## გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები

ნებისმიერი ტრადიციული მინერალური ზედაპირი (ძველი ბათქაშები, ბეტონი, აგურის წყობა), თაბაშირ-მუყაო, მყარი ხე-ბოჭკოვანი ფილები, ასაწყობი სამშენებლო ელემენტები და სხვა ძველი დანაფარები.

ზედაპირის მომზადება

ზედაპირი უნდა იყოს მშრალი, სუფთა და მზიდუნარიანი. საჭიროა წინასწარ შეიფითხოს გლუვი მდგომარეობის მისაღწევად (მაგალითად, Akkordspachtel mittel, ან fein-ის პროდუქტით).

**PII და PIII-ის ჯგუფის ხსნარების ბათქაშები:**

მყარი, ნორმალურად შემწოვი ბათქაშები შედგებიან წინასწარი დამუშავების გარეშე. შემწოვი, მსუბუქად ქვიშანაყარი ბათქაშები დაგრუნტეთ CapaSol LF-ით. ძლიერშემწოვი ზედაპირები დაგრუნტეთ Caparol-Tiefgrund TB ან AmphiSilan-Putzfestiger-ით.

**PIV ჯგუფის თაბაშირის და მზა ბათქაშები:**

არათანაბარი ზედაპირის მქონე თაბაშირის ბათქაშები გაშლიფეთ. განმინდეთ მტკრისგან და დაგრუნტეთ CapaGrund Universal-ით.

**სამშენებლო თაბაშირის და მუყაო-თაბაშირის ფილები:**

შერჩენილი ფიფი გაშლიფეთ. რბილი და გაშლიფილი ადგილები გაამყარეთ CapaSol LF-ით. ძლიერად შემწოვ ზედაპირებზე დაიტანეთ Caparol-Tiefgrund TB-ის ან AmphiSilan-Putzfestiger-ის ფენა. ნორმალურად შემწოვ ზედაპირები დაგრუნტეთ CapaGrund Universal-ით. ფილები, რომლებიც შეიცავს წყალში ხსნად, შემაფერადებელ ნივთიერებებს, დაგრუნტეთ AquaSperrgrund-ით.

**ბეტონი:**

მოაცილეთ ცარცვადი, ქვიშიანი და ფხვნადი ნაწილები. ძლიერად შემწოვ ზედაპირებზე დაიტანეთ Caparol-Tiefgrund TB-ის ან AmphiSilan-Putzfestiger-ის ფენა. ნორმალურად შემწოვ ზედაპირებზე დაიტანეთ CapaGrund Universal-ის ფენა.

**მზიდი დანაფარები:**

მქრქალი, სუსტად შემწოვი ზედაპირები შედგებიან დამუშავების გარეშე. პრიალა, დალაქული ზედაპირები წინასწარ გაშლიფეთ და დაგრუნტეთ CapaGrund Universal-ით. ფოროვანი, ფშვნადი, ან ნესტის შემწოვი ზედაპირები დაგრუნტეთ Caparol OptiGrund E.L.F. ან Capasol LF-ით.

**არამზიდი დანაფარები:**

სრულად მოაშორეთ ლაქის, დისპერსიული საღებავების და ხელოვნური ფისის ბათქაშების არამზიდი დანაფარები. უხეში ფოროვანი, შემწოვი, ან ქვიშიანი ზედაპირები აუცილებელია დაიგრუნტოს CapaSol LF-ით. მინერალური საღებავების გამოუსადეგარი დანაფარები მექანიკურად მოაცილეთ და განმინდეთ მტკრისგან. დაგრუნტეთ Caparol-Tiefgrund TB-ით.

**დანაფარები წებოვანი საღებავით:**

საფუძვლიანად ჩამორეცხეთ. დაგრუნტეთ Caparol-Tiefgrund TB, ან AmphiSilan- Putzfestiger-ით.

**ბოჭკოვანი, რელიეფური, ტვიფრული ქაღალდის შპალერი, არამდგრადი შპალერი:**

სრულად მოაშორეთ, ჩამორეცხეთ კლეისტერისა და ქაღალდის ნარჩენები. დაიტანეთ Caparol-Tiefgrund TB-ის ან AmphiSilan-Putzfestiger-ის საგრუნტავი ფენა.

**ნიკოტინის, წყლის, ჭვარტლის და ცხიმოვანი ლაქებით დაბინძურებული ზედაპირები:**

ჩამორეცხეთ ცხიმის მოსაშორებელი საშუალებით. შემდგომ კარგად გააშრეთ. გამშრალ ზედაპირზე შემორჩენილი წყლის ლაქები განმინდეთ ჯაგრისით. დაიტანეთ მაიზოლირებელი საგრუნტავი ფენა - Caparol AquaSperrgrund.

**დეფექტიანი ადგილები**

სათანადო მომზადების შემდეგ გამოასწორეთ Caparol-Akkordspachtel-ით და საჭიროების შემთხვევაში დაგრუნტეთ.

შენიშვნა

Caparol-Tiefgrund TB-ის გამოყენებისას შეიძლება წარმოიშვას გამხსნელების ტიპური სუნი. ამიტომ აუცილებელია უზრუნველყოთ კარგი განიავება. მგრძნობიარე ადგილებში რეკომენდირებულია უფრო სუსტი სუნის, არომატული ნაერთების არ მქონე AmphiSilan- Putzfestiger-ის გამოყენება.

დატანის მეთოდები

თავდაპირველად ზედაპირი აუცილებელად უნდა დაიგრუნტოს CapaGrund Universal-ით საბოლოო დაფარვის ფერის ტონალობაში. მასალის დატანისათვის აუცილებელია სპეციალური ხელსაწყო (ვენეციური ქაფჩა). როგორც წესი, სრულიად მზა ზედაპირის მისაღებად საჭიროა 2 სამუშაო ეტაპი.

# ტექნიკური ინფორმაცია CD010R NOE

დაფარვის სტრუქტურა

## 1 სამუშაო ეტაპი:

შერჩეული ფერის საგოზავი მასა Capadecor StuccoDecor DI PERLA, გაზავებული დაახლოებით 20%-მდე წყლით, დაიტანეთ მომზადებულ ზედაპირზე მოკლებეწვანი მოხერის გორგოლაჭით. მასალის ხარჯი დაახლოებით 40 მლ./მ<sup>2</sup>

## 2 სამუშაო ეტაპი

ზედაპირი სრულად დაფარეთ გაუზავებელი, იმავე ტონის საგოზავი მასით Capadecor StuccoDecor DI PERLA. ვენციური ქაფჩის საშუალებით. შრობის მცირე დროის შემდეგ ზედაპირი დაამუშავეთ იმავე ქაფჩით სათანადო ხავერდოვანი სტრუქტურის მისაღებად.

მასალის ხარჯი დაახლოებით 80 მკ./მ<sup>2</sup>

## ყურადღება:

თანაბარი ზედაპირის მისაღებად საჭიროა მასალა დაიტანოთ ერთი მოსმით-„სველი-სველზე“ პრინციპით. მასალის გამოყენებაზე მოქმედებს ორპირი ნიავი და თბილი ზედაპირები.

ხარჯი

დაახლოებით 120-150 მლ/მ<sup>2</sup>-ზე, მზა ზედაპირზე. ზუსტი ხარჯი განისაზღვრება არსებულ ზედაპირზე საცდელი დატანის მეშვეობით.

გამოყენების პირობები

## მინიმალური ტემპერატურა გამოყენებისა და შრობის პროცესში:

ჰაერისა და ზედაპირის მინიმალური ტემპერატურა უნდა იყოს +5 C. ჰაერის შედარებითი სინოტივე - არა უმეტეს 80%

შრობის დრო

დაახლოებით 24 საათი. სხვადასხვა სამუშაო ეტაპებს შორის აუცილებელია დავიცვათ შრობის დრო - 12 საათი. ეს ვადები იზრდება ჰაერის დაბალი ტემპერატურისა და მაღალი ტენიანობის პირობებში.

ხელსაწყობის წმენდა

გამოყენების შემდეგ ხელსაწყობები გაირეცხოს წყლით.

## მითითებები

უსაფრთხოების ნორმები

მოარიდეთ ბავშვებს. არ დაუშვათ საღებავის მოხვედრა კანალიზაციაში, წყალსატევებსა და ნიადაგში.

უტილიზაცია

მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვა. საღებავის ნარჩენი თხევადი მასა შესაძლებელია უტილიზირებულ იქნას როგორც წყალდისპერსიული საღებავის დანაკარგი, გამხმარი ნარჩენი კი - როგორც გამხმარი საყოფაცხოვრებო ან სამშენებლო ნაგავი.

აქროლადი ორგანული  
შენაერთების ზღვრული  
კონცენტრაცია ევროკავშირის  
სტანდარტის შესაბამისად  
(VOC)

პროდუქტის კატეგორია (A/c): 30 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს მაქსიმუმ 1 გ/ლ აქროლად ორგანულ ნივთიერებებს (VOC).

შემადგენლობა

ხელოვნური ფისის დისპერია, პიგმენტები, მინერალური შემავსებლები, წყალი, დანამატები.

დეტალური ინფორმაცია

იხილეთ უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი

ტექნიკური კონსულტაცია

მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევა პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შექმნა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

## მპს კაპაროლ ჯორჯია

აღ. ქართველიშვილის ქ. N8,  
0198 თბილისი საქართველო  
office@caparol.ge  
www.caparol.ge